



2022 წ.

# 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-ოქტომბერი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)




პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ნოემბერი, 2022 წ.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>1</sup> შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 19,852.3 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 19,678.7 მლნ ლარის ოდენობით. 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში შემოსულობების შესრულება შეადგენს 15,804.6 მლნ ლარს (წლიური გეგმის 79.6%) და წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 1,584.8 მლნ ლარით (11.1%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 15,181.3 მლნ ლარს (წლიური გეგმის 77.1%) და 722.2 მლნ ლარით (4.5%-ით) ნაკლებია წინა წლის იანვარ-ოქტომბრის მარჯვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2022 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 10 თვის შესრულების მარჯვენებლები.



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 10 თვის შესრულების მარჯვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2012-2022 წლებში (მლრდ ლარი, %).

რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, შემოსავლების კომპონენტის შესრულების მარჯვენებლები შესრულების კარგი დონით ხასიათდება წლიური გეგმის მიმართ და მის 82.6%-ს შეადგენს. შესრულების შედარებით დაბალი დონის ხასიათდება ფინანსური აქტივების კლების კომპონენტის მარჯვენებელი - წლიური გეგმის 75.7%. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლების და ვალდებულებების ზრდის კომპონენტებს, აღნიშნული კომპონენტების შემთხვევაში ფიქსირდება მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრა წლიური გეგმის მიმართ - შესაბამისად 52.0% და 69.3%.

გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მარჯვენებელი წლიური გეგმის 78.8%-ს უტოლდება. წლიური გეგმის მიმართ შესრულების დაბალი დონით ხასიათდება, ასევე, გადასახდელების 3 კომპონენტის - არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება - შესრულების მარჯვენებლები, შესაბამისად წლიური გეგმის 70.5%, 71.7% და 74.7%.


<sup>1</sup> 2022 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დასახელება	2022 წლის გეგმა	10 თვის შესრულება	% წლიურ გეგმასთან	დასახელება	2022 წლის გეგმა	10 თვის შესრულება	% წლიურ გეგმასთან
<b>შემოსულობები</b>	<b>19,852.3</b>	<b>15,804.6</b>	<b>79.6%</b>	<b>გადასახდელები</b>	<b>19,678.7</b>	<b>15,181.3</b>	<b>77.1%</b>
შემოსავლები	15,760.7	13,013.1	82.6%	ხარჯები	15,122.9	11,920.4	78.8%
არაფინანსური აქტივების კლება	300.0	156.0	52.0%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,212.1	2,265.2	70.5%
ფინანსური აქტივების კლება	150.0	113.6	75.7%	ფინანსური აქტივების ზრდა	256.7	184.0	71.7%
ვალდებულებების ზრდა	3,641.6	2,521.9	69.3%	ვალდებულებების კლება	1,087.0	811.6	74.7%

ცხრილი 1: 2022 წლის 10 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო<sup>2</sup> 10 თვეში შეადგინა 1,092.7 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ<sup>3</sup> - -1,016.5 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2022 წლების 10 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2012-2022 წლების 10 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2012-2022 წლების 10 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 881.4 მლნ ლარი. იანვარ-ოქტომბერში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 623.4 მლნ ლარი შეადგინა და 2022 წლის 1 ნოემბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,504.8 მლნ ლარის ოდენობით.

<sup>2</sup> საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


<sup>3</sup> მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ოქტომბრის თვის მარჯვენაგანი

2022 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1,803.1 მლნ ლარი, რაც 178.0 მლნ ლარით ნაკლებია სექტემბრის მარჯვენაგანზე, ხოლო წინა წლის ოქტომბრის მარჯვენაგანს 474.7 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2022 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,517.2 მლნ ლარს, რაც სექტემბრის მარჯვენაგანზე 320.4 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2021 წლის ოქტომბრის მარჯვენაგანს აღემატება 72.8 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2020-2022 წლებში თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2020-2022 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2020-2022 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (84.3%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (15.2%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების სახით მიღებულ იქნა 9.0 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან - 0.3 მლნ ლარი.


2022 წლის ოქტომბერში ხარჯების შესრულებამ შეადგინა 1,296.9 მლნ ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებამ - 147.9 მლნ ლარი, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულებამ - 29.4 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების კლების შესრულებამ - 43.0 მლნ ლარი.

შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)


გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)


შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც ოქტომბერში მიღებული შემოსავლების 95.9% და მთლიანი შემოსულობების

გადასახადები სახეების მიხედვით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

ხარჯები სახეების მიხედვით



დიაგრამა 7: განუული ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

80.8% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,457.0 მლნ ლარი, სექტემბრის მაჩვენებელზე (1,336.8 მლნ ლარი) 120.2 მლნ ლარით (9.0%-ით) მეტი. აღნიშნული მატება ძირითადად უკავშირდება სხვა გადასახადს, რომლის მოცულობაც გაზრდილია 182.0 მლნ ლარით და 201.5 მლნ ლარს შედგენს<sup>4</sup>. შედარებით მცირე ოდენობით მომატებულია აგრეთვე: დღგ - 10.8 მლნ ლარით, აქციზიდან შემოსავალი - 3.5 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის მატების გავლენით), იმპორტის გადასახადი - 1.2 მლნ ლარით, ხოლო საშემოსავლო გადასახადი თითქმის უტოლდება წინა თვის მაჩვენებელს (0.3 მლნ ლარით აღემატება). მოგების გადასახადი კი წინა თვესთან შედარებით შემცირებულია 77.6 მლნ ლარით.

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი ოქტომბერში განუული მთლიანი გადასახდელების 85.5%-ს შეადგენს. 2022 წლის ოქტომბერში ხარჯებმა შეადგინა 1,296.9 მლნ ლარი, რაც წინა თვის მაჩვენებელს (1,202.9 მლნ ლარი) 94.0 მლნ ლარით აღემატება. აღნიშნული ზრდა ძირითადად დაკავშირებულია პროცენტის (23.4 მლნ ლარით), სუბსიდიების (79.7 მლნ ლარით), სოციალური უზრუნველყოფის (32.5 მლნ ლარით), გრანტების (41.2 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (3.6 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატებასთან. წინა თვესთან შედარებით შემცირებულია სხვა ხარჯებისა (79.5 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების (6.8 მლნ ლარით) მუხლების დაფინანსება.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2022 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 223.0 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - 75.4 მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში მიღებული შემოსულობებისა (1,803.1 მლნ ლარი) და განუული გადასახდელების (1,517.2 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ოქტომბრის თვეში ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 285.9 მლნ ლარი.

<sup>4</sup> 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2022 წლის იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მარჯვენებელმა 15,804.6 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.3%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2020-2021 წლებთან შედარებით გაზრდილია (ძირითადად გადასახადების და სხვა შემოსავლების მატების გავლენით). რაც შეეხება შემოსავლების წილს შემოსულობებში, ეს მარჯვენებელიც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია. კერძოდ, 2021 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 71.2%-ს, ხოლო 2020 წელს - 58.1%-ს. ვალდებულებების ზრდის მუხლის მარჯვენებელი წინა წლებთან შედარებით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად მთლიან შემოსულობებში, შემცირებულია: კერძოდ, 2022 წლის 10 თვეში ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მარჯვენებელი მთლიანი შემოსულობების 16.0%-ს შეადგენს, ხოლო 2021 წელს 27.0%-ს და 2020 წელს 40.5%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 1.7%-ს შეადგენს, ეს მარჯვენებელი 2021 წელს 1.9%-ს, ხოლო 2020 წელს 1.4%-ს შეადგენდა.


2020-2022 წწ. 10 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 8: 2020-2022 წწ. 10 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

**შემოსავლების** სახით 10 თვეში მიღებულია 13,013.1 მლნ ლარი, წლიური გეგმის 82.6%, წინა წლის მარჯვენებელს კი 2,895.1 მლნ ლარით (28.6%-ით) აღემატება. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, გადასახადები და გრანტები კარგი შესრულების დონით გამოირჩევა, ხოლო სხვა შემოსავლების შესრულებაში ვლინდება დადებითი გადახრა.

იანვარ-ოქტომბერში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 11,745.2 მლნ ლარს, წლიური გეგმის 81.2%-ს შეადგენს. წლიურ გეგმასთან მიმართებით, შესრულების შედარებით მაღალი მარჯვენებლებით გამოირჩევა მოგებისა (90.3%) და იმპორტის გადასახადი (88.6%), შესრულების კარგი დონით ხასიათდება, ასევე, დღგ (84.6%) და საშემოსავლო გადასახადი (83.6%). შესრულების შედარებით დაბალი მარჯვენებელი აქვს აქციზის გადასახადს - წლიური გეგმის 80.8%. რაც შეეხება სხვა გადასახადს, აღნიშნული მარჯვენებლის გეგმა განსაზღვრულია 130.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო შესრულების მარჯვენებელი -377.7 მლნ ლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მნიშვნელოვნად, 2,598.9 მლნ ლარით (28.4%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება ძირითადად განპირობებულია საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 35.7%-იანი, 92.5%-იანი და 24.7%-იანი ზრდით. საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 859.4 მლნ ლარით (34.3%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-ოქტომბერში დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 4,929.0 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 977.9 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 345.2 მლნ ლარით და იმპორტირებული პროდუქციიდან 632.6 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 12.4%-ით (177.0 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციიდან შემოსავლის ზრდის გავლენით. (მ.შ. თამბაქოსა და იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრიდან აქციზი გაზრდილია, შესაბამისად, 89.0 მლნ ლარით და 32.4 მლნ ლარით).



დიაგრამა 9: 2021-2022 წწ. 10 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

**გრანტების** ფაქტობრივი მაჩვენებელი (300.7 მლნ ლარი) წლიური გეგმის მიმართ კარგი შესრულების დონით გამოირჩევა (87.7%), რაც ძირითადად დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 10 თვეში მიღებულია 82.4 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, 10 თვეში საინვესტიციო გრანტების სახით ბიუჯეტში მიღებულია წლიური გეგმის 85.5%, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან - 77.5% (69.7 მლნ ლარი), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების სახით - გეგმის 55.0%.

**სხვა შემოსავლების** შესრულება მნიშვნელოვანი დადებითი გადახრით გამოირჩევა: 10 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია წლიური გეგმის 102.4% (967.3 მლნ ლარი). ძირითადი შემოსავალი (60.7%-ის ოდენობით) მიღებულია საკუთრებიდან, კერძოდ, პროცენტისა (204.6 მლნ ლარი) და დივიდენდის სახით (356.1 მლნ ლარი) სახით. სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის 20.6% (199.6 მლნ ლარის ოდენობით) შემოსულია არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან.

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობების შესრულება (156.0 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და წლიური გეგმის 52.0%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ოქტომბრის თვეში არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მცირე თანხების (0.3 მლნ ლარის ოდენობით) მიღებასთან.

**ფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობები, ასევე შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელით გამოირჩევა: იანვარ-ოქტომბერში მიღებულია 113.6 მლნ ლარი, წლიური გეგმის 75.7%, რაც ძირითადად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე.

**ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობების სახით 10 თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 2,521.9 მლნ ლარი, წლიური გეგმის 69.3%. საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 1,410.2 მლნ ლარი, წლიური გეგმის 60.2%. კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა 260.7 მლნ ლარი, წლიური გეგმის 32.6%, ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 1,149.6 მლნ ლარი (წლიური გეგმის 74.6%).


	2022 წლის გეგმა	10 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>3,641.6</b>	<b>2,521.9</b>	<b>69.3%</b>
<b>საგარეო</b>	<b>2,341.6</b>	<b>1,410.2</b>	<b>60.2%</b>
საბიუჯეტო კრედიტები	800.0	260.7	32.6%
საინვესტიციო კრედიტები	1,541.6	1,149.6	74.6%
<b>საშინაო</b>	<b>1,300.0</b>	<b>1,111.6</b>	<b>85.5%</b>

ცხრილი 2 : 2022 წლის 10 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)


რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 1,111.6 მლნ ლარი (წლიური გეგმის 85.5%) შეადგინა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2022 წლის იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელია 15,181.3 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 78.5%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2020-2021 წლებთან შედარებით. კერძოდ, 2020 წლის 10 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 78.3%-ს, ხოლო 2021 წლის 10 თვეში - 70.3%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელია მთლიანი გადასახდელების 14.9% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელია - 1.2% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელია - 5.3%. 2021 წლის იანვარ-ოქტომბერში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 11.9%-ის, 1.8%-ის და 16.0%-ის ოდენობებით, ხოლო, 2020 წლის იანვარ-ოქტომბერში - 13.5%-ის, 2.2%-ის და 6.0%-ის ოდენობებით.



**ხარჯების** შესრულებამ იანვარ-ოქტომბერში შეადგინა 11,920.4 მლნ ლარი, წლიური გეგმის 78.8%, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე 736.8 მლნ ლარით (6.6%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა პროცენტისა და სუბსიდიებისა, რომლებიც შემცირებულია შესაბამისად 49.8 მლნ ლარით და 2.0 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სხვა ხარჯების (372.6 მლნ ლარი) მუხლზე. წლიურ გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა საქონელი და მომსახურების (86.9%), სოციალური უზრუნველყოფის (82.3%) და პროცენტის (82.2%) მუხლები, ხოლო წლიურ გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება, გრანტების (57.9%), სუბსიდიების (71.1%), სხვა ხარჯების (77.5%) და შრომის ანაზღაურების (79.1%) მუხლები. პროცენტის მუხლის შესრულებიდან (620.5 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 427.1 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 193.3 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (5,003.3 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (3,412.1 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე (1,287.7 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (244.0 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2021-2022 წწ. 10 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულება (2,265.2 მლნ ლარი) წლიური გეგმის 70.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (1,330.3 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (348.3 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (128.9 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (80.8 მლნ ლარი) და ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციაზე (67.1 მლნ ლარი).

**ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (184.0 მლნ ლარი), წლიური გეგმის 71.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი 24 14) ფარგლებში გაცემულ სესხზე 53.6 მლნ ლარის ოდენობით, ამავე სამინისტროს პროგრამის (პროგრამული კოდი 24 19) „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ ფარგლებში გაცემულ სესხზე 6.1 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრაგრამის „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)“ ფარგლებში გაცემულ სესხებზე 75.7 მლნ ლარის ოდენობით, ამავე სამინისტროს პრაგრამის „წყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05)“ ფარგლებში გაცემულ სესხებზე 4.2 მლნ ლარის ოდენობით, „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების“ (პროგრამული კოდი 55 04) ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გაცემულ სესხზე 20.0 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებული საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 24.4 მლნ ლარის ოდენობით.


**ვალდებულებების კლების** მუხლის შესრულება (811.6 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და წლიური გეგმის 74.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 776.8 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	2022 წლის გეგმა	10 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>1,087.0</b>	<b>811.6</b>	<b>74.7%</b>
საგარეო	1,043.7	776.8	74.4%
საშინაო	43.2	34.9	80.6%

ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2022 წლის 10 თვეში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული **საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების** შესრულებას, იანვარ-ოქტომბერში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 1,423.9 მლნ ლარი, წლიური გეგმის 77.6%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 515.8 მლნ ლარი, საიდანაც 285.4 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 219.2 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 11.2 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-ოქტომბერში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 244.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 233.5 მლნ ლარის, 26.6 მლნ ლარის და 5.9 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის<sup>5</sup> მიხედვით შეადგინა 14,185.6 მლნ ლარი (წლიური გეგმის 77.4%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:



დიაგრამა 12: 2022 წლის 10 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

### გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2012-2022 წლების იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2021-2022 წლების იანვარ-ოქტომბერში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

<sup>5</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2020 წლის 10 თვის შესრულება	2021 წლის 10 თვის შესრულება	2022 წლის წლიური გეგმა	2022 წლის 10 თვის შესრულება	2022 წლის 10 თვის შესრულება / 2022 წლის წლიური გეგმა		2022 წლის 10 თვის შესრულება / 2021 წლის 10 თვის შესრულება	
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ური ცვლილება
<b>შემოსულობები</b>	<b>14,684.8</b>	<b>14,219.8</b>	<b>19,852.3</b>	<b>15,804.6</b>	<b>-4,047.7</b>	<b>79.6%</b>	<b>1,584.8</b>	<b>11.1%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>8,529.8</b>	<b>10,118.0</b>	<b>15,760.7</b>	<b>13,013.1</b>	<b>-2,747.6</b>	<b>82.6%</b>	<b>2,895.1</b>	<b>28.6%</b>
გადასახადები	7,816.8	9,146.3	14,473.0	11,745.2	-2,727.8	81.2%	2,598.9	28.4%
საშემოსავლო გადასახადი	2,451.4	2,829.3	4,590.7	3,839.9	-750.8	83.6%	1,010.6	35.7%
მოგების გადასახადი	797.1	857.8	1,829.0	1,651.3	-177.7	90.3%	793.5	92.5%
დღგ	3,196.8	3,951.1	5,826.3	4,929.0	-897.3	84.6%	977.9	24.7%
აქციები	1,232.0	1,426.4	1,985.0	1,603.4	-381.6	80.8%	177.0	12.4%
იმპორტის გადასახადი	61.4	68.5	112.0	99.3	-12.7	88.6%	30.8	44.9%
სხვა გადასახადები	78.2	13.1	130.0	-377.7	-507.7	-290.5%	-390.8	-297.4%
გრანტები	135.2	328.7	342.7	300.7	-42.0	87.7%	-28.0	-8.5%
სხვა შემოსავლები	577.8	643.0	945.0	967.3	22.3	102.4%	324.2	50.4%
არაფინანსური აქტივების კლება	<b>79.7</b>	<b>161.9</b>	<b>300.0</b>	<b>156.0</b>	<b>-144.0</b>	<b>52.0%</b>	<b>-5.9</b>	<b>-3.7%</b>
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	<b>124.9</b>	<b>102.3</b>	<b>150.0</b>	<b>113.6</b>	<b>-36.4</b>	<b>75.7%</b>	<b>11.3</b>	<b>11.1%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>5,950.3</b>	<b>3,837.7</b>	<b>3,641.6</b>	<b>2,521.9</b>	<b>-1,119.8</b>	<b>69.3%</b>	<b>-1,315.8</b>	<b>-34.3%</b>
საგარეო	4,170.4	4,409.2	2,341.6	1,410.2	-931.4	60.2%	-2,998.9	-68.0%
საშინაო	1,779.9	-571.5	1,300.0	1,111.6	-188.4	85.5%	1,683.2	-294.5%
<b>გადასახდელები</b>	<b>12,652.6</b>	<b>15,903.4</b>	<b>19,678.7</b>	<b>15,181.3</b>	<b>-4,497.4</b>	<b>77.1%</b>	<b>-722.2</b>	<b>-4.5%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>9,911.1</b>	<b>11,183.6</b>	<b>15,122.9</b>	<b>11,920.4</b>	<b>-3,202.6</b>	<b>78.8%</b>	<b>736.8</b>	<b>6.6%</b>
შრომის ანაზღაურება	1,255.3	1,345.4	1,834.7	1,450.6	-384.1	79.1%	105.2	7.8%
საქონელი და მომსახურება	1,167.5	1,352.2	1,680.4	1,460.9	-219.5	86.9%	108.7	8.0%
პროცენტი	650.1	670.2	755.0	620.5	-134.6	82.2%	-49.8	-7.4%
სუბსიდიები	473.6	659.8	924.7	657.8	-266.9	71.1%	-2.0	-0.3%
გრანტები	646.4	615.7	1,311.0	758.5	-552.5	57.9%	142.8	23.2%
სოციალური უზრუნველყოფა	4,480.0	4,944.1	6,075.8	5,003.3	-1,072.5	82.3%	59.2	1.2%
სხვა ხარჯები	1,238.1	1,596.2	2,541.2	1,968.8	-572.4	77.5%	372.6	23.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	<b>1,705.2</b>	<b>1,895.0</b>	<b>3,212.1</b>	<b>2,265.2</b>	<b>-946.9</b>	<b>70.5%</b>	<b>370.2</b>	<b>19.5%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	<b>277.8</b>	<b>281.2</b>	<b>256.7</b>	<b>184.0</b>	<b>-72.6</b>	<b>71.7%</b>	<b>-97.2</b>	<b>-34.6%</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>758.6</b>	<b>2,543.6</b>	<b>1,087.0</b>	<b>811.6</b>	<b>-275.3</b>	<b>74.7%</b>	<b>-1,731.9</b>	<b>-68.1%</b>
საგარეო	724.5	2,489.9	1,043.7	776.8	-266.9	74.4%	-1,713.1	-68.8%
საშინაო	34.1	53.7	43.2	34.9	-8.4	80.6%	-18.8	-35.0%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - გამოყენება)</b>	<b>2,032.1</b>	<b>-1,683.6</b>	<b>173.7</b>	<b>623.4</b>	<b>449.7</b>		<b>2,306.9</b>	

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2020 წლის 10 თვის შესრულება	2021 წლის 10 თვის შესრულება	2022 წლის წლიური გეგმა	2022 წლის 10 თვის შესრულება	2022 წლის 10 თვის შესრულება / 2022 წლის წლიური გეგმა		2022 წლის 10 თვის შესრულება / 2021 წლის 10 თვის შესრულება	
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>შემოსავლები</b>	<b>8,529.8</b>	<b>10,118.0</b>	<b>15,760.7</b>	<b>13,013.1</b>	<b>-2,747.6</b>	<b>82.6%</b>	<b>2,895.1</b>	<b>28.6%</b>
გადასახადები	7,816.8	9,146.3	14,473.0	11,745.2	-2,727.8	81.2%	2,598.9	28.4%
გრანტები	135.2	328.7	342.7	300.7	-42.0	87.7%	-28.0	-8.5%
სხვა შემოსავლები	577.8	643.0	945.0	967.3	22.3	102.4%	324.2	50.4%
<b>ხარჯები</b>	<b>9,911.1</b>	<b>11,183.6</b>	<b>15,122.9</b>	<b>11,920.4</b>	<b>-3,202.6</b>	<b>78.8%</b>	<b>736.8</b>	<b>6.6%</b>
შრომის ანაზღაურება	1,255.3	1,345.4	1,834.7	1,450.6	-384.1	79.1%	105.2	7.8%
საქონელი და მომსახურება	1,167.5	1,352.2	1,680.4	1,460.9	-219.5	86.9%	108.7	8.0%
პროცენტი	650.1	670.2	755.0	620.5	-134.6	82.2%	-49.8	-7.4%
სუბსიდიები	473.6	659.8	924.7	657.8	-266.9	71.1%	-2.0	-0.3%
გრანტები	646.4	615.7	1,311.0	758.5	-552.5	57.9%	142.8	23.2%
სოციალური უზრუნველყოფა	4,480.0	4,944.1	6,075.8	5,003.3	-1,072.5	82.3%	59.2	1.2%
სხვა ხარჯები	1,238.1	1,596.2	2,541.2	1,968.8	-572.4	77.5%	372.6	23.3%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>-1,381.2</b>	<b>-1,065.6</b>	<b>637.8</b>	<b>1,092.7</b>	<b>455.0</b>	<b>171.3%</b>	<b>2,158.4</b>	<b>-202.5%</b>
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,625.4	1,733.1	2,912.1	2,109.2	-802.9	72.4%	376.1	21.7%
ზრდა	1,705.2	1,895.0	3,212.1	2,265.2	-946.9	70.5%	370.2	19.5%
კლება	79.7	161.9	300.0	156.0	-144.0	52.0%	-5.9	-3.7%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-3,006.6</b>	<b>-2,798.7</b>	<b>-2,274.4</b>	<b>-1,016.5</b>	<b>1,257.9</b>	<b>44.7%</b>	<b>1,782.3</b>	<b>-63.7%</b>
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,185.1	-1,504.7	280.3	693.8	413.4	247.5%	2,198.4	-146.1%
ზრდა	2,309.9	281.2	430.3	807.4	377.1	187.6%	526.2	187.1%
ვალუტა და დეპოზიტები	2,032.1	0.0	173.7	623.4	449.7	358.9%	623.4	
სესხები	277.8	281.2	256.7	184.0	-72.6	71.7%	-97.2	-34.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	
<b>კლება</b>	<b>124.9</b>	<b>1,785.9</b>	<b>150.0</b>	<b>113.6</b>	<b>-36.4</b>	<b>75.7%</b>	<b>-1,672.2</b>	<b>-93.6%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1,683.6	0.0	0.0	0.0		-1,683.6	-100.0%
სესხები	124.8	100.0	150.0	112.6	-37.4	75.1%	12.6	12.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.01	2.3	0.0	1.0	1.0		-1.3	-56.0%
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>5,191.7</b>	<b>1,294.1</b>	<b>2,554.7</b>	<b>1,710.2</b>	<b>-844.4</b>	<b>66.9%</b>	<b>416.2</b>	<b>32.2%</b>
ზრდა	5,950.3	3,837.7	3,641.6	2,521.9	-1,119.8	69.3%	-1,315.8	-34.3%
საშინაო	1,779.9	-571.5	1,300.0	1,111.6	-188.4	85.5%	1,683.2	-294.5%
საგარეო	4,170.4	4,409.2	2,341.6	1,410.2	-931.4	60.2%	-2,998.9	-68.0%
<b>კლება</b>	<b>758.6</b>	<b>2,543.6</b>	<b>1,087.0</b>	<b>811.6</b>	<b>-275.3</b>	<b>74.7%</b>	<b>-1,731.9</b>	<b>-68.1%</b>
საშინაო	34.1	53.7	43.2	34.9	-8.4	80.6%	-18.8	-35.0%
საგარეო	724.5	2,489.9	1,043.7	776.8	-266.9	74.4%	-1,713.1	-68.8%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>	

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2022 წლიური გეგმა	2022 წლის 10 თვის შესრულება	2022 წლის 10 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	19,678.7	15,181.3	77.1%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	68.0	50.2	73.8%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	56.3	41.3	73.4%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა	21.3	15.5	72.6%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	6.7	6.0	89.9%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	28.3	19.8	70.1%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	28.2	19.8	70.0%
01 01 03 02	პერსონალის პროფესიული განვითარება	0.1	0.1	86.1%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	10.2	7.8	76.6%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.5	0.4	77.4%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.7	66.1%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	8.8	6.5	73.6%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.8	0.5	69.6%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	19.2	31.6	164.6%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	18.5	13.4	72.3%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	31.5	26.8	85.2%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	16.2	12.4	76.5%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.4	0.9	62.5%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	13.8	10.8	78.1%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	0.0	2.7	
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.2	3.6	70.3%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	14.4	10.5	73.4%
09 00	საერთო სასამართლოები	99.1	66.0	66.6%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	96.8	65.0	67.1%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.3	1.0	42.3%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6.8	3.3	48.5%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.1	0.8	73.5%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.6	73.7%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანჯერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	0.9	0.7	78.2%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.0	0.7	73.0%

15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.9	0.6	72.6%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.7	77.3%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.6	78.7%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.2	0.8	67.8%
